



შარშის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზოთი 13-14(146-147) 2017 წ. 1-31 ოგლისი ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილება

ანგარიშს აბარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საბრძოლოს თავმჯდომარე —

ვრიღონ ბურღული



მიზანდობა წლის 14 იელის 3 წელი შესრულდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ დეპუტატ ვრიღონ ბურღულის არჩევიდან. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელდა საინტერესო და საუკუნის პირველი ოცნებების მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, დაიხვეწა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის დებულებები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა, სპორტისა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ინფრასტრუქტურას, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ვითარება. სწორედ აღნიშნულ განვლილ პერიოდში გაწეულ მუშაოებზე გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვრიღონ ბურღული:

— ყველა მუნიციპალიტეტის და მათ შორის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრი, განმსაზღვრელი მოცემულობა — მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ამიტომაც 2015-2016-2017 წლების ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ჩვენი საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დეტალურად იქნა განხილული მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, გამოიკვთა ძირითადი პრიორიტეტები, პრობლემები, სასწრაფოდ და გადაუდებლად შესასრულებელი სამუშაოები, შედგა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები და ყველაფერმა ერთად კი ასახვა პოვა ბიუჯეტში. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე 2014 წელს სულ 3355.9 ათასი ლარი გაიხარჯა. აქედან, რეგიონული განვითარების ფონდიდან — 1380.4 ლარი, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით — 821.2 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 1144.3 ათასი ლარი. — 2015 წელს — 3215.6 ათასი ლარი, საიდანაც 1643.3 ლარი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით იყო. 698.5 ლარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით — ხოლო 873.8 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი. **2014-2016 წლებში,** ასევე ასფალტის საფარი დაიგო: სოფელ გიორგიშინდაში-950 მეტრი, კაკაბეთში — 1 კმ. 800 მეტრი, გერხვიანში — 2 კმ, ბაღაიურში — 750 მეტრი, რომელთა პრო-

ექტების მოლიანმა ღირებულებამ 1269444 ლარი შეადგინა. სოფლების — შიბლიანისა და იორმულანლოს შიდა სასოფლო 4000 მეტრი სიგრძის გზის მოასფალტებაზე 973700 ლარი გაიხარჯა. სოფელ იორმულანლოს გზის მოასფალტება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, რაზედაც 800 ათასი ლარი გაიხარჯება.

ამავე პერიოდში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა სამი ხიდის რეაბილიტაცია, სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 160 ათასი ლარი შეადგინა.

მინდა გითხრათ, რომ 2015 წლის ძირითადი საფინანსო დოკუმენტის მოცულობა შეადგინდა 12 598 499 ლარს, რაც 15,6%-ით მეტი იყო 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტურ შესრულებაზე (2014 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 10 890 240 ლარს). სოციალური სფეროს მომსახურეობისათვის გათვალისწინებული იყო 824 649 ლარის ათვისება, რაც 20,6 %-ით მეტი იყო გასულ წელთან შედარებით (2014 წელს ამ მიმართულებით გახარჯული იყო 685 306 ლარი), 2014 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გაიხარჯა 4 484 199 ლარი, 2015 წელს დაგეგმილი იყო 5 705 700 ლარის ათვისება, რაც წინა წელთან შედარებით 12,7%-ით მეტი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლების ხვედრითი წილი—1 794 154 ლარი, ნაცვლად 2014 წელს გახარჯული 1 190 842 ლარის, ანუ 50%-ით მეტი.

2015 წელს სერიოზულად გაუმჯობესდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება, თუ 2014 წელს ამ მიმართებით დაიხარჯა 1 511 618 ლარი, 2015 წელს გათვალისწინებული იქნა 1 573 000 ლარი, ანუ 4,1%-ით მეტი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სკოლამდელ დაწესებულებებს დაემატა 23,5 საშტატო ერთეული, რამაც საშუალება მოგვცა დაგვესაქმებინა 44 პიროვნება. გაიზარდა ამ დაწესებულებებში გაერთიანებული ბავშვების რაოდენობაც.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვასა და სამუშაოებში 1.783276.08 ლარი გაიხარჯა, საიდანაც:

მუნიციპალიტეტის 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან 2014 წლიდან დღემდე ცხრა დაწესებულებაში მოხდა სრული რეაბილიტაცია, აშენდა სკოლამდელი აღზრდის ორი ახალი შენობა. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განახლდა სამზარეულო და აღიჭურვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

2014 წელს 1150 ბავშვზე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები 1551612 ლარით იყო დაფინანსებული, 2015 წელს — 1200 ბავშვზე — 1.600.619 ლარით, 2016 წელს — 1354 ბავშვზე — 1.720.500 ლარით. 2017 წელს კი 1265 ბავშვზე აღნიშნული დაწესებულებები 1.650.000 ლარითაა დაფინანსებული.

2015 წელს ასევე გაიზარდა როგორც აიპ „სოსრული გაერთიანების“ დაფინანსება—2015 წელს 507 729 ლარი(2014 წელი 437 927 ლარი) ანუ 15,9%-ით მეტი, ასევე აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დაფინანსება, რომელმაც 2015 წელს უკვე 378 820 ლარი შეადგინა (2014 წელს 374 444 ლარი), ანუ 1,1%-ით მეტი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ხელმძღვანელობს, მთელი საკრებულოს, საკრებულოს აპარატის პირველი რიგის ამოცანა იყო და დღესაც არის გამოგვეკეთა მუნიციპალიტეტის საჯირო პრიორიტეტები, აქცენტები გადაგვეტანა ყველაზე აუცილებელ აქტუალურ და უმოკლეს ვადებში გაანაწილებული საკითხებზე და ყველაფერი ეს მიმართული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიისა და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ერთობლივი მცდელობითა და ინიციატივით დაგეგმა და 2015 წელს მოხდა სოფ.წყაროსთაში და ე.წ აჭარელთა დასახლებაში სასმელი წყლის ჰაბილიტაციის მოწყობა და მოსახლეობის წყლით მომარაგების საგრძობი გაუმჯობესება. აღნიშნულმა ჯგუფმა 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სოფელ ადწერა საკუთრებაში არსებული ქონება, გამოავლინა და აღმოფხვრა ქონების აღრიცხვის საქმეში არსებული ხარვეზები.

2015 წლის საკრებულოს № 28 განკარგულებით შეიქმნა აგრეთვე „სოფ. უდაბნოს სასმელი წყლით მომარაგებაში არსებული პრობლემების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი“. სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა სერიოზული პრობლემები ამ მიმართებით. აღმოჩნდა, რომ სოფ. თოსლიაურში მდებარე არტეზიული ჰაბილიტაციის საიდანაც ხდებოდა სოფ. უდაბნოს წყალმომარაგება, დაზიანებული და ამორტიზირებული იყო. დაზიანებული იყო საქანსტუმში სადგურის შენობები. მილსადენის მაგისტრალის გასწვრივ აშენებული იყო 29 ფერმა, რომლებიც უნებართვოდ დაერთებული იყო წყლის მაგისტრალზე. რადგან მთელ რიგ მინაკვეთებზე მილსადენი დაზიანებული იყო, ხდებოდა წყლის დიდი რაოდენობის გადინება. სამუშაო ჯგუფის დასკვნით მილსადენის ექსპლუატაცია აღნიშნული მდგომარეობით ყოველად დაუშვებელი იყო. როგორც ციცი, სოფელ უდაბნოში დღეს 24 საათიანი წყალმომარაგების რეჟიმი, ყოველივე ამას რეგიონული განვითარების ფონდიდან 4600000 ლარი მოხმარდა.

2015 წელს გაიზარდა სოციალური სფეროს მომსახურეობისათვის გათვალისწინებული სუბსიდირება, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რაოდენობრივ (თანხობრივ გამოსატყულებაში) ზრდასთან ერთად, დაემატა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები და მიმართულებები, როგორიცაა:

1. ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარება;
 2. პირველი და მეორე შეილის დაბადებაზე ოჯახების დახმარება (0-დან 100000 ქულამდე).
 3. მარტოხელა მშობლების სტატუსის მქონე პირებზე დახმარება (57000-დან 100000 ქულამდე).
 4. სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოგრაფიისა და ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსება;
- აღსანიშნავია, რომ 2015 წელს გათვალისწინებული იყო სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისთვის თავშესაფრის

მოწყობა ქ. საგარეჯოში ყოფილი ტექნიკუმის შენობაში, რაზეც 100000 ლარი გაიხარჯა.

ასე, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2015 წელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების აღდგენა რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდა 12 მნიშვნელოვანი პროექტი.

— **საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია-ქ.საგარეჯოში, სოფლებში მანავსა და გომბორში;**

— **სასმელი წყლის ჰაბილიტაციისა და შიდა ქსელების მოწყობა-სოფლებში პატარეულში, წყაროსთაში და ე.წ აჭარელთა უბანში;**

— **ასფალტის საფარისა და ტროტუარების მოწყობა-ქ.საგარეჯოში (ერეკლე მე-2 და თამარ მეფის ქუჩებში) სოფლებში გიორგიშინდაში, ბაღაიურსა და კაკაბეთში;**

— **სასმელი წყლის სათავე-ნაგებობებისა და შიდა ქსელების მოწყობა-სოფლებში ხაშში და კაკაბეთში;**

გარდა ამისა, 2015 წელს დაიწყო ქ.საგარეჯოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება-რეაბილიტაცია, რაზეც დაახლოებით 9 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად ქ.საგარეჯოს თითოეული კომლი უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით 24 საათის განმავლობაში.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელ პროგრამებზე 2015 წელს გათვალისწინებული იყო 1 012 216 ლარის სამუშაოების შესრულება კერძოდ:

— **სასმელი წყლით მომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-შეკეთება-სოფლებში: გომბორში, ასკილაურში, ოთარანთაში, გორანაში, იკვლიე-გორანაში, მუხროვანში, პატარეულში, დუზაგარაში, პაღლოში, წიწმაცინასა და ლამბალოში;**

— **სოფლამდე მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა-რეაბილიტაცია სოფლებში — რუსიანში, გერონაში, ვაშლიანში და ბაღაიურში;**

— **სარწყავი არხების აღდგენა სოფლებში: სასადილოში, პაღლოში, იორმულანლოში; სასაფლაოების შემოღობვა-სოფლებში კოჭბაანსა და თულარში;**

— **სარტყალო დარბაზების მოწყობა და ინვენტარის შექმნა სოფლებში: უჯარბაში, მზისგულსა და უდაბნოში;**

— **საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს მოწყობა-სოფლებში ნინოწმინდასა და ბაღაიურში;**

— **გარე განათების მოწყობა სოფლებში წყაროსთაში და გიორგიშინდაში;**

საქეტიბო ამბულატორიების მოწყობა სოფლებში: გიორგიშინდასა და შიბლიანში; ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება სოფელ თულარში;

2015 წლის გაზაფხულზე „აღამიანი, კანონი, თავისუფლება“ პროექტის „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ჩამოყალიბდა „ახალგაზრდული საკრებულო“. საკრებულო დაკომპლექტდა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე XI-XII კლასელებით მთელი მუნიციპალიტეტიდან. ახალგაზრდულ საკრებულოში გაერთიანდა 36 ახალგაზრდა. მათ გაიარეს ტრენინგები ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, ლიდერობის, მედიასთან ურთიერთობის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და კავკასიოლოგიის შესახებ. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება საბოლოოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას, მათ აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, ახალგაზრდების გათვითცნობიერებას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, ახალგაზრდა ლიდერების წარ-

გაბრძნობა მე-2 გვერდზე
**დღევანდელი ნომერი 10
გვერდიანი**

მუნიციპალური კვირული

ანგარიშს აგარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბაბრეკევა

ფრიდონ ბურღული

მოხენას, ახალგაზრდების ჩართვას საარჩევნო პროცესში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 3 270 500 ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3 060 500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210 ათასი ლარი, გადასახადების მოცულობა განისაზღვრა 7 500 ათასი ლარით. 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილება შევიდა 7-ჯერ. 2016 წელსაც მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენდა მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების მოწოდება-რეაბილიტაცია, გარე განათება, კეთილმოწყობის ღონისძიებები, სკოლამდელი განათლება, სპორტული ღონისძიებები, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა და სხვა ღონისძიებები სოციალური დაცვის სფეროში.

გასულ წელს ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილებით შემოსულობები შეადგინდა 11 090 556 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი იყო 6 847 465 ლარი და გადასახადებმა შეადგინა 13 225 335 ლარი, რომელიც ძირითადად ნაწილდებოდა შრომის ანაზღაურებაზე 1 675,7 ათასი ლარი, საკონფლიქტო და მომსახურება 1460,7 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია 6824,932 ლარი, სკოლამდელი განათლება 1918355 ლარი, კულტურაზე 1209605 ლარი, სპორტზე 526 901 ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 888174 ლარი და ა.შ.

2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლის განსახორციელებელი პროექტები, რომელსაც ახორციელებდა რეგიონული განვითარების ფონდი.

1. ქ. საგარეჯოში დოდაშვილის, ქეთევან წამბულის, წერეთლის, ქურდიანის, ჯანგულაშვილის ქუჩებზე ასფალტის საფარის და სანიტარული არხების მოწყობა.

2. ქ. საგარეჯოს № 3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

3. სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიტარული არხების მოწყობა.

4. ქ.საგარეჯოში ერეკლე მეორეს და თამარ მეფის ქუჩების მოასფალტება და ტროტუარების მოწყობა.

5. სოფელ უდაბნოს წყლის რეაბილიტაცია.

6. სოფელ ბადაიურში საბავშვო ბაღის შეკეთება.

7. სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბო რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა.

8. სოფელ შიბლიანის გზის მოასფალტება და სანიტარული არხების მოწყობა.

9. სოფელ ხაშში სათავგანებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

საკრებულომ ასევე, შესაბამისი განკარგულებით დაამტკიცა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამების შემდეგი პროექტები:

1. სოფელი გომბორი - სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება, სასაფლაოს შემოღობვა, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

2. სოფელი უჯარმა-გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის სათავის და სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

3. სოფელი კოტბანი-სასაფლაოს შემოღობვა, სასმელი წყლის სისტემის, სათავის და ქსელის რეაბილიტაცია.

4. სოფელი ხაშში-შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა.

5. სოფელი პატარა-სასმელი წყლის და სანიტარული სისტემების რეაბილიტაცია.

6. სოფელი ნინოწმინდა-სკვერის მოწყობა და სანიტარული არხის რეაბილიტაცია.

აღდგენა და სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეკვლა.

9. სოფელი თოხლიაური-სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა.

10. სოფელი სათაფლე-საქონლის დასარწყველებლის მოწყობა.

11. სოფელი მანავი-სანიტარული არხის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელის მოწყობა, გარე განათებისა და 2 მოსაცდელის მოწყობა.

12. სოფელი დიდი ჩაილური-გარე განათების მოწყობა და საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.

13. სოფელი პატარა ჩაილური-შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვა.

14. სოფელი კაკაბეთი-სასმელ წყალზე ონკანების დამონტაჟება და გარე განათების მოწყობა.

15. სოფელი ვერხვიანი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

16. სოფელი ყანდაურა-სტადიონის რეაბილიტაცია, სოფლის სკვერში განათების მოწყობა, საბავშვო ბაღისათვის ატრაქციონების შექმნა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა რეაბილიტაცია.

17. სოფელი ბადაიური-ე.წ. „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია.

18. სოფელი მზისგული-სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია.

19. სოფელი შიბლიანი-გარე განათების მოწყობა.

20. სოფელი იორმუდანლო-გარე განათებისა და მოსაცდელის მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა და არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა.

21. სოფელი ქეშალო-სარწყავი არხის გაწმენდა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, 2 მოსაცდელის მოწყობა.

22. სოფელი დუზაგრამა-სარწყავი და სანიტარული არხებისა და შიდა სასოფლო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია.

23. სოფელი დამბალი-ე.წ. „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია, სანიტარული და სარწყავი არხისა და შიდა გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

24. სოფელი თულარი-სავარგულეებში სადრენაჟე სისტემის მოწყობა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიტარული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობო შენობის აშენება.

25. სოფელი უდაბნო-ძველი ბაღის შენობაში „კულტურული ცენტრის“ მოწყობა.

2016 წელს მუნიციპალიტეტში 38805 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა. ეს სამუშაოები 1940,3 ათასი ლარით რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, 1047,2 ლარით - „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, ხოლო 893,0 ათასი ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით.

ასევე, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოსაწესრიგებლად. 2014 წლიდან დღემდე ქალაქ საგარეჯოში ასფალტის საფარი დაიგო: თამარ მეფის, ერეკლე მეორის, დოდაშვილის, ქეთევან წამბულის, წერეთლის, ქურდიანის, ჯანგულაშვილის ქუჩებზე, სულ 7 კმ 50 მეტრი სიგრძის. აღნიშნული პროექტების მილიანმა ღირებულებამ 1753855 ლარი შეადგინა.

2017 წელს: დაგეგმილია და უკვე მიმდინარეობს ქ. საგარეჯოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების გაგრძელება (გაუქვალისწინებული სამუშაოები).

ქ.საგარეჯოს №1,2,4,5,6 და სოფ.წყაროსათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია

სოფ. ვეხვიანის, სოფ. კაკაბეთის №1, სოფ. მზისგულის და სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია

ქ.საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე „სიყვარულის ხიდის“ რეაბილიტაციისა და თამარ მეფისა და ერეკლე მეორის ქუჩის ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

ქ.საგარეჯოში ერისთავის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები

ქ.საგარეჯო, კოსტავას ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები

სოფ.ნინოწმინდაში საბავშვო ბაღის შენობის შეკეთების სამუშაოები

სოფ.შიბლიანის მისასვლელი გზის მოასფალტებისა და სანიტარული არხების მოწყობის

სამუშაოები

სოფ. დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებისა და სანიტარული არხების მოწყობის სამუშაოები

ქ.საგარეჯოში ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთებისა და ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის შეკეთების სამუშაოები

ქ.საგარეჯოში ა.ი.პ საგარეჯოს №105 საცურაო კომპლექსის შეკეთების სამუშაოები

სოფ.თოხლიაურში, სოფ.ხაშში და სოფ.წყაროსათავე გარე განათების მოწყობის სამუშაოები

სოფ.ბადაიურში, სოფ.ვერხვიანში, სოფ.კაკაბეთში და სოფ.შიბლიანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები

სოფ.იკელიეგორანაში, სოფ.მუხროვანში და სოფ.ოთარანთკარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფელ გიორგიწმინდაში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, სოფ.დიდი ჩაილურში სასმელი წყლის შემკრები ავზის რეაბილიტაციის, სოფ.ნინოწმინდაში საბავშვო ბაღისა და სოფლის I ხისის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისა და სოფ.სათაფლეში სასმელი წყლის ჭის რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფ.ბადაიურში საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობის, სოფელ მანავში I საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობისა და ბაღის ეზოს კეთილმოწყობის, სოფ.ნინოწმინდაში სანიტარული არხზე ცხაურების მოწყობისა და სოფ.ყანდაურაში არსებულ ბოგირზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები

სოფ. იორმუდანლოსა და სოფ. პატარაქულში გზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები

სოფელ მზისგულში და სოფ. გომბორში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციისა და სოფ.უდაბნოში ძველ საბავშვო ბაღში ორი ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფ. რუხიანში და სოფ.უჯარმაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფ.დუზაგრამაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფ.თულარში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფ.იორმუდანლოსა და სოფ.პატარა ჩაილურში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები

ქ.საგარეჯოში ბაზრის მიმდებარე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნული პროექტების განხორციელებამ თითოეულ სოფელში ხელი შეუწყო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მინდა აღვნიშნო, რომ მთელი სამი წლის განმავლობაში ყველა საჯარო ინფორმაციის ბიუჯეტები, პროგრამები, ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, დადგენილება და განკარგულებები იყო საჯარო და დღესაც საჯარო, ამასთან საჯარო, ხელმისაწვდომი იყო და დღესაც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წელს საკრებულოს თავმჯდომარის წარმომადგენლობითი ხარჯიდან დაფინანსდა:

1. შუღლუღელი შესადგენლობის მქონე ბავშვებისთვის გადასაცემი საჩუქრები.

2. მრავალშვილიანი და ღვაწლმოსილი ქალბატონებისთვის გადასაცემი საჩუქრები.

3. რევაზ ინაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კაფე-სალამოს მოწყობა.

4. ანსამბლ „ჩინარის“ შემქმნელებითი საღამოს ორგანიზება.

ინტერესოვლებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქ. საგარეჯოში შპს „ჯეოპოსიტივალს“-ის მრავალპროფესიული სამედიცინო ცენტრის შენობაში იგეგმებოდა 35 საწოლიანი საავადმყოფოს გახსნა, უშუალოდ ჩემი ძალისხმევით და ინიციატივით საწოლების რაოდენობა გაიზარდა 52-მდე და სამედიცინო ცენტრი დღეს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფოა, რომელიც უკვე უკურად ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს.

ამასთან, თებერვლიდან ყოველი თვის მეორე და მეოთხე შაბათს აქ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჩემი ინიციატივით ეწყობა

დასასრული მე-10 ბეპირაზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სსლოა 7 ივლისი, 2017 წელი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სსლოას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურღული უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვანგარიშსწორების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მაისის №7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა პასხაპერ მარტოშაძემ.

მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის III სართულზე (ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის №15) მდებარე 96,22 კვ. მეტრი ფართის უვადოდ, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ბიორბი შურდოვანიძემ.

საკრებულომ იმსჯელა წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.



სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა

იპრისპირეთში „ალოობა-2017“ კალეს იკრებს



20 ივნისიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქვემო ზონის სოფლების საშემოდგომო ქერის ყანები „გაიჭრა“.

ბნო ვივი, ჩვენი საუბარი დაიწყო იქიდან, თუ რა ფართობზე პლანდა საფუძველი ჩაყრილი წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო თავთავიანების...

2017 წლის მოსავლისათვის გასული წლის შემოდგომაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო თავთავიანების ნათესებს 7980 ჰექტარზე ჩაყარა საფუძველი.

ხომ არ გაქვთ იმის სტატისტიკა, თუ კერძოდ, რომელი სოფლის მოსახლეობას და რა რაოდენობით მიაყენა ზარალი აღნიშნულმა ქარიშხალმა?

როგორ არა. აღნიშნულმა სტიქიამ 50-100%-ის ფარგლებში ქ. საგარეჯოს საგარეულებში დაახლოებით 350, ნინოწმინდაში - 100, სათაფლეში - 300, უდაბნოში - 350, იორმულანდოს ზონაში - 500, პატარაქელში - 300, გიორგიწმინდასა და ხაშში - 50-50 ჰექტარი საშემოდგომო ნათესები.

ვაკეთებ. ეს მართლაც დიდი ზარალი ჩვენი მინდვრის მშრომელებისათვის, მაგრამ ცხადია, რაც გადაარჩა, იმასაც დროული მიხედვა და დაბინავება სჭირდება, თორემ ვინ იცის, როგორი ამინდებია მოსალოდნელი სამომავლოდ.

ალოობა ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალი დაწყებულია. 28 ივნისისათვის სულ აღებული იყო 130 ჰა-ზე ნათესი საშემოდგომო ქერის მოსავალი. ჯერჯერობით მკაზზე 3-4 კერძო კომბაინი მუშაობს, რადგან შპს საგარეჯოს „მექანიზატორის“ კომბაინები წასული არიან სიღნაღში მარცვლეულის აღებაზე.

თუ გაქვთ იმის მონაცემები, როგორია მიღებული მოსავლის საშუალო საჰექტარო გამოსავლიანობა?

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ქერის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1,5-დან 2,0 ტონის ფარგლებში მერყეობს, თუმცა გარკვეული მიწათმოქმედება ამაზე გაცილებით უკეთეს შედეგებსაც აღწევს.

ესაუბრა ბიზი დაბახიშვილი

P.S. მკათათვე ძალაში შედის და მატულობს ივრისპირეთის ალოობის ტემპი. 10 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში თავთავიანების აღებაში ჩართული იყო უკვე 17 ერთეული, მ.შ. შპს „მექანიზატორის“ შვიდი მაღალმწარმოებლური კომბაინი.

ჩვენი კავანია ზაფხულთან ერთად აქტიურდება

მწიფე საშენი ნაგებობების ცენტრი, თავისი მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხებით, ის ძირითადი და ერთადერთი საშუალებაა, რომელთა დახმარებით ჩვენებური მიწათმოქმედები გარეკახეთისათვის დამახასიათებელ გვალვებს უმკლავდებიან და აქედან მიღებული ივრის მაცოცხლებელ წყალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვის სამსახურში აყენებენ.



მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწვევა, ჩვეულებრივ გაზაფხულის II ნახევრიდან იწყება ხოლმე, მაგრამ წლებიდან წლები ბუნებრივი კლიმატური პირობების - უხვანალექიანობის გამო, ამ პროცესმა ცოტა მოგვიანებით გადმოიწია.

როგორც მოგეხსენებათ, წელს უხვად მოსული ნალექების გამო, - თქვა მან - ერთწლიანმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებმა რწვევა მოგვიანებით მოითხოვა.

კერძოდ როდის დაიწყო რწვევის კამპანია, თქვენ ახსენეთ, რომ ამ პროცესმა ცოტა გადაიწია ვადებში?..

ფაქტობრივად ეს კამპანია ივნისის პირველი დეკადის შემდეგ დაიწყო და სადღეისოდ ორივე მაგისტრალური არხი შეუფერხებლად აწვდის სარწყავ წყალს წყალმოსარგებლებს.

დღეისათვის რა კულტურები ირწყვება მუნიციპალიტეტში?

დღევანდელი ჩვენთან წყალმოსარგებლების მიერ შემოსულია განცხადებები სიმინდისა და ბაღების რწყვაზე. ზაფხულის ძალაში შესვლასთან ერთად კი მათ ალბათ სხვა კულტურებიც დაემატება.

წელს იმდენი ნალექი მოვიდა, რომ წყალუზრუნველყოფაში, ამ პერიოდისათვის მინც, შეფერხებები არ წინააღმდეგობა?

სარწყავი წყლის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით და მას შეუფერხებლად ვაწვდით წყალმომარბელთა მოთხოვნების მიხედვით და იმედია, რომ არც მომავალში გვექნება ამ საკმეში რაიმე შეფერხება.

რწვევის ფასებსა და ჯერადობაში ხომ არ არის რაიმე ცვლილება?

რწვევის ფასებში ცვლილებები სადღეისოდ არაა და არც იგეგმება. 1 ჰა ფართობის მორწყვა ჩვენთან ძველებურად 75 ლარი ჯდება და არც რწვევის ჯერადობაშია რაიმე ცვლილება.

იმის სტატისტიკას ხომ არ გაგვაცნობდით, თუ რამდენ წყალმოსარგებელს მოემსახურეთ რწვევის სეზონის დაწყებიდან?

წლებიდან რწვევის სეზონის დაწყებიდან 25 ივნისის მდგომარეობით ჩვენი სამსახური მოემსახურა - ანუ სარწყავი წყალი მიაწოდა როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ისე კატრეთის ზონის 321 წყალმოსარგებელ აბონენტს.

რწვევის სეზონის დაწყება ხელს ხომ არ უშლის მარჯვენა მაგისტრალურ არხზე დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას, ანდა პირიქით, ეს სამუშაოები ხომ არ შეუშლიან ხელს რწვევის კამპანიის ნორმალურად ჩატარებას?

რწვევის დაწყებამ და მაგისტრალურ არხში წყლის გაშვებამ, გარკვეულწილად შეაფერხა სარეაბილიტაციო სამუშაოები იმ კონტექსტში, რომ უშუალოდ აღარ მიმდინარეობს თვით ამ არხის აღდგენა და ეს სამუშაოები ახლა არხის გარეკომუნიკაციებს უტარდება, რაც ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მომავალში ამ არხმა ნორმალურად იფუნქციონეროს და უპასუხოს იმ მოთხოვნებს, რაც მას აქვს წაყენებული.



სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა სჭირდება. რაც შეეხება თვითონ მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას, იგი რწვევის სეზონის დასრულებისთანავე გაგრძელდება.

ესაუბრა ბიზი დაბახიშვილი

რა უნდა ვიხილოთ აზიური ფაროსანის შემსახმბ ანუ, როგორ ვებრძოლოთ მას

სამართლებლოში 2015 წლიდან გავრცელდა ინვაზიური მავნებელი მწერი აზიური ფაროსანა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის ხილის, თესლოვან-კურკოვანი მცენარის სხვადასხვა სახეობას, ასევე კენკროვნებს და ბოსტნულ კულტურებს.

აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბაღლინჯო) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება მასპინძელი მცენარეებით. ზრდასრული მავნებლის ზომა 12-17მმ-ია;

წარმოშობა და ბაზირება: მავნებლის სამშობლოა სამხეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები, საიდანაც იგი გავრცელდა ჩინეთში, იაპონიაში, კორეის ნახევარკუნძულზე, ტაივანსა და ვიეტნამში.

1996 წლიდან მავნებელი გავრცელდა აშშ-ის ტერიტორიაზე და კანადაში. 2007 წლისათვის იგი დაფიქსირდა შვეიცარიაში, 2010 წელს - ახალ ზელანდიაში.

2015-2016 წლებში მავნებელი ინტენსიურად გავრცელდა რუსეთში და საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სადაც მავნებლის მაქსიმალური კონცენტრაცია შეინიშნება გურჯაანისა და სოხუმის რაიონებში. აქ მავნებლის უაყოფიერი ზემოქმედების შედეგად 2-3 ჯერ შემცირდა ატმის, მანდარინის და ხურმის მოსავალი.

დასასრული მე-7 გვერდზე



კანონი, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდა კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული

ბაზრებზე

მოხელის გამოსაცდელი ვადა ითვლება სამსახურის სტაჟში.

მოხელე, რომელიც გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ორჯერ შეფასდება უარყოფითად, თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

2. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ახორციელებს დამხმარე ან არამუდმივ ფუნქციებს.

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი სარგებლობს საჯარო მოხელისათვის გათვალისწინებული შემდეგი **სიძველემით**:

სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობა და მივლინების ანაზღაურება

სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პირობები

უსაფრთხო და აუცილებელი პირობების შექმნა

თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღება

წახალისების ფორმები: მადლობა და ფასიანი საჩუქარი

სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური დრო, ნახევარი განაკვეთი და მოხელის შევსება, მათ შორის დეკრეტული შევსება

პროფკავშირებში გაწევრება და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე, გარდა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობებისა, ვრცელდება ასევე:

მოხელის მოვალეობები

მოხელის ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება

დისციპლინური პასუხისმგებლობა

3. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ინიშნება მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დანიშნული პირი შეიძლება იყოს: თანამშრომელი, მრეწველი, უშუალო აპარატის/სამდივნოს/ბიუროს თანამშრომელი.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით პირი საჯარო სამსახურში მიიღება უიურისად.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება: იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით მოქმედებს შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით.

4. პარტიის მართვა

4.1. მოხელის გადაყვანა
მოხელის გადაყვანა შეიძლება იმავე საჯარო დაწესებულებაში ან საჯარო დაწესებულების სისტემაში. მოხელის გადაყვანა შეიძლება მოხდეს იმავე იერარქიულ რანგში და იმავე თანამდებობისათვის გათვალისწინებული სხვა ფუნქციის ან/და მსგავსი ფუნქციის მიზნებით.

მოხელის გადამხანაგობა:

მოხელის ინიციატივით საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის დასაბუთებული გადაწყვეტილებით და მოხელის თანხმობით

4.2. მოხელის პარტიული განვითარება არის: ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის თანამდებობაზე გადასვლა;

იმავე იერარქიული რანგში დაბალი თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადასვლა.

მოხელის კარიერული განვითარება ხდება დახურული კონკურსის საფუძველზე.

4.3. მოხელის შვსანება

მოხელე ფასდება, შესრულებული სამუშაოსა და პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით, წელიწადში ერთხელ. მოხელის შეფასების პროცესში მონაწილეობენ:

მოხელის უშუალო ხელმძღვანელი
შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელი
დარგის სპეციალისტი - შესაფასებელი მოხელის ინიციატივით

მოხელის შეფასება ხდება დოკუმენტური მასალების შეფასებით და მოხელესთან გასაუბრებით.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულს/პირსა და შესაფასებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან განხილვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას შეფასების შედეგის შესრულების თაობაზე.

მოხელე ვასანება ოთხდღიანი შვსანების სისტემის გამოყენებით:

საშუალო შვსანება - მოვალეობა ან/და მოსალოდნელზე მეტი სამუშაო საუკეთესოდ შესრულდა, მეკეთრად გამოირჩევა შედეგებით ან/და პროფესიული უნარ-ჩვევებით;

პარტი შვსანება - მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;

დაბალი შვსანება - მოვალეობა ნაწილობრივ კარგად შესრულდა და გაუმჯობესებას საჭიროებს, მოხელე არსებითად არ გამოირჩევა პროფესიული უნარ-ჩვევებით;

არადაბალი შვსანება - მოვალეობა არ შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

4.4. მოხელის

მოხილობა არის რეორგანიზაციის,ლიკვიდაციის და შერწყმის შედეგად შტაბების შემცირების საფუძველზე მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა.

მოხილობის გამოყენების აუცილებელი წინაპირობა:

მოხელის თანხმობა;

მოხელის საჯარო დაწესებულების თანხმობა;

მოხილობის შედეგია საჯარო მოხელის: ტოლფას თანამდებობაზე გადაყვანა;

ტოლფასი თანამდებობის არ არსებობის შემთხვევაში, დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;

მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა და კომპენსაციის გაცემა.

მოხელის მოხილობით გადაყვანა შეუძლებელია, თუკი კონკრეტულ თანამდებობაზე დაწესებულია მოხელის გადაყვანის პროცესი ან გამოცხადებულია კონკურსი.

4.5. მოხელეთა რეზერვი

მოხელეთა რეზერვის ხანგრძლივობაა 2 წელი. მოხელეთა რეზერვს მართავს საჯარო სამსახურის ბიურო.

მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის საფუძველებია:

მოხილობის განხორციელების შეუძლებლობა;

ხანგრძლივი პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობა;

უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენის შეუძლებლობა.

მოხელე რეზერვში ირიცხება შესაბამისი კომპენსაციით. მოხილობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 3 თვის თანამდებობრივი სარგო, მოხილობაზე უარის თქმის შემთხვევაში - კარგავს კომპენსაციის მიღების უფლებას.

უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის შეუძლებლობისას, მოხელე კომპენსაციის სახით მიიღებს თანამდებობრივ სარგოს 6 თვის განმავლობაში.

მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ მოხელეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა დახურულ კონკურსში. მას ასევე შეიძლება დროებით დაეკისროს არმყოფი მოხელის მოვალეობების შესრულება.

შრომითი საქმიანობის დაწყება არ იწვევს რეზერვიდან ამორცხვას, გარდა მოხელის თანამდებობაზე დანიშნვისა. რეზერვში ყოფნის ვადა ითვლება შრომის სტაჟში.

III. საჯარო მოხელის უფლებები და მოვალეობები

1. მოხელის უფლებები და გარანტიები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები და გარანტიები ეხება მხოლოდ პროფესიულ საჯარო მოხელეს, როგორც საჯარო სამსახურში საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებისა და ფუნქციის მქონე განმარტებული მოხელის ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს ეხებათ, მოხელის მხოლოდ ის უფლებები

და მოვალეობები, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მუხლით პირდაპირ არის მითითებული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები და გარანტიები, როგორებიცაა:

მოხელისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა;

თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღება;

მოხელის სახელფასო დანამატის მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში მიღება;

ზეგანაკვეთურ სამუშაოსა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობა;

პროფესიული განვითარებისათვის შევსება;

დეკრეტული შევსება;

დაღუპვისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას დახმარების მიღება;

პროფესიულ კავშირში გაწევრება;

პოლიტიკური უფლებები;

ინფორმაციის მიღება და გადაწყვეტილების განაჩივრება.

მოხელის შრომითი ანაზღაურება

მოხელის შრომის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპს. მოხელის შრომითი განამრჯელო შედეგებზე: თანამდებობრივი სარგოსა და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული დანამატისაგან.

მოხელის თანამდებობრივი სარგო

- თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დგინდება იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებულ თითოეული თანამდებობის შესაბამისად;

მოხელის სახელფასო დანამატი - მოხელეს სახელფასო დანამატი ენიჭება: ა) მოხელის კლასისათვის, ბ) ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის, თუ ზეგანაკვეთურ სამუშაოს მოხელე ასრულებს ზემდგომი თანამდებობის პირის დაკლებით, გ) დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, მათ შორის, დამის საათებში, დასვენების/უქმი დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისას;

შუალადი ჯილდო (პრემია) - ფულადი ჯილდო (პრემია) არის წახალისების ერთ-ერთი ფორმა, მადლობის გამოცხადებასა და ფასიანი საჩუქრის გადაცემასთან ერთად. ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა დაკავშირებულია მოხელის შეფასების შედეგებთან.

საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების წესი დეტალურად წესრიგდება შრომის ანაზღაურების შესახებ შესაბამისი კანონით.

ზომანაკვეთური სამუშაო - მოხელის მიერ შესრულებული სამუშაო ზეგანაკვეთურია, თუ არსებობს ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალება. ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობის ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს, რაც გულისხმობს ნორმალურ სამუშაო დროს - კვირაში 40 საათს პლიუს 8 საათი. ზეგანაკვეთური სამუშაო შეიძლება ანაზღაურდეს, როგორც დანამატის გაცემით, ისე ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით. ანაზღაურების ფორმები მოხელის სურვილის შესაბამისად უნდა შეირჩეს.

მოხელის შვსანება - მოხელის ყოველწლიური ანაზღაურებადი შევსება ვადად, ნაცვლად 30 კალენდარული დღისა, განისაზღვრა 24 სამუშაო დღე. მოხელეს ეძლევა უფლება კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შევსებებით ისარგებლოს მომდევნო კალენდარული წელს.

დეკრეტული შვსანება - დეკრეტული შევსებების ოდენობა არის 730 კალენდარული დღე (დაახლოებით 2 წელი), საიდანაც ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე (დაახლოებით 6 თვე), ხოლო შობის დღისათვის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღე (დაახლოებით 6 თვე და 2 კვირა). ბავშვის მოვლის გამო შევსებებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს ასევე იმ მშობელს, რომელიც ფაქტობრივად უფლის ბავშვს. ასეთ დროს შევსებების ოდენობა არის ბავშვის დაბადებიდან 550 დღე (დაახლოე-

ბით 1 წელი და 6 თვე), საიდანაც ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე (3 თვე).

შვსანება პროფესიული განვითარებისათვის

- მოხელეს უფლება აქვს ისარგებლოს შევსებებით პროფესიული განვითარებისათვის. საჯარო სამსახურს შიგნით, პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისათვის მოხელეს ეძლევა ანაზღაურებადი შევსება ამ პროგრამის ხანგრძლივობით. საჯარო სამსახურს გარეთ, პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის მოხელეს ეძლევა ანაზღაურებადი შევსება 5 წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 3 თვით, ან/და ანაზღაურების გარეშე არაუმეტეს 1 წლისა.

მოხელეს უფლება აქვს ისარგებლოს პროფესიული განვითარებისათვის უფრო ხანგრძლივი შევსებებით. ამ შემთხვევაში იგი თავისუფლდება თანამდებობიდან და მისი სურვილის შემთხვევაში ირიცხება რეზერვში, მხოლოდ მას შემდეგ რაც დასრულდება პროფესიული განვითარების პროგრამა.

მოხელის მიერ ინფორმაციის მიღება

სა და გადაწყვეტილების განაჩივრების უფლება - მოხელეს ეცნობება საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ. მოხელეს უფლება აქვს გაეცნოს მის პირად საქმეს და მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა, თუ შეიცვლება ფაქტობრივი გარემოებები.

მოხელეს აქვს უფლება მოითხოვოს დიციპლინური წარმოების დაწყება მისი პატივისა და ღირსების შელახვის გამო, ასევე დისციპლინური წარმოებისას ისარგებლოს დამცველის დახმარებით და გაასაჩივროს მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

2. მოხელის მოვალეობები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი მოვალეობები, როგორიცაა:

საჯარო სამსახურის პრინციპების დაცვა;

ისეთი ქმედებებისაგან თავის შეკავება, რომელიც საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას;

განხორციელებული საქმიანობის კანონიერებაზე სრული პასუხისმგებლობა;

უშუალო ხელმძღვანელის განკარგულების შესრულება, გარდა უკანონო დავალებით დადგენილი გამონაკლისებისა; გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვა;

საიდუმლო ინფორმაციის დაცვა;

უფლებამოსილების ეკონომიურად და ეფექტიანად შესრულება;

ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვა.

მოხელის მიერ ბანაკობის შესრულების ვალდებულება

- მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება. უშუალო ხელმძღვანელის განკარგულებას მოხელე ასრულებს იმ შემთხვევაშიც თუ:

მისი შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება საჯარო სამსახურის ინტერესების გათვალისწინებით აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად;

მოხელე არ ასრულებს მსგავს განკარგულებას, თუ იგი საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

მოხელეს უფლება აქვს შარი ბანაკობა

განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს, არაუფლებამოსილი პირის მიერ არის გაცემული;

განკარგულების შესრულებას სჭირდება ისეთი კომპეტენცია და პროფესიული უნარები, რომელიც არ აქვს მოხელეს;

განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის;

განკარგულება მიმართულია მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ;

კანონი, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდა კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული

დასასრული

განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

თუ არსებობს რომელიმე ზემოაღნიშნული ფაქტი, მოხელე ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.

განკარგულების წერილობით განმეორებისას მოხელე ვალდებულია შეასრულოს იგი, გარდა იმ განკარგულებისა, რომელიც:

ექნადადამდგევა საქართველოს კანონმდებლობას;

საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის; მიმართულია მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ;

გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

ამ შემთხვევებში მოხელის მიერ განკარგულების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

IV. დისციპლინური პასუხისმგებლობა, სამსახურიდან გათავისუფლება და უფლების დაცვის საკითხები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე თავით დაარეგულირა და მოაწესრიგა შემდეგი საკითხები: დისციპლინური გადაცდომის სახეები და პასუხისმგებლობის ზომები, წარმოების პროცესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებები, ასევე საჯარო მოხელის უფლებები წარმოების პროცესში.

დისციპლინური გადაცდომა არის:

სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა;

საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა;

ეთიკის ნორმების, ქცევის წესების უპატივებულობა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ.

დისციპლინური გადაცდომის ორი სახე არსებობს: მსუბუქი და მძიმე. კანონი არ ახდენს მსუბუქი გადაცდომის ჩამონათვალს.

დისციპლინური გადაცდომა შეიძლება მიჩნეული იყოს მძიმედ, თუ:

დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას;

დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას;

დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს;

მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე;

დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

დისციპლინური ზემოქმედების შემდეგი დონისიძიება შეიძლება იყოს ბაზოქ-ენაზული:

ბაზოქენაზული საფრთხილობა

საფრთხილობა

თანამდებობრივი სარგოს 10%-დან 50%-მდე დაკლება 1-დან 6 თვემდე გარეშე

სამსახურიდან გათავისუფლება.

ახალი კანონმა გააუქმა საჯარო მოხელის სტატუსზე ზემოქმედების მომხდენი დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები: როგორცაა: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება, უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობაზე გადაყენება და მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსური ხასიათის სანქციები. მოქმედი კანონი ფინანსური ხასიათის

ღონისძიების სახით ითვალისწინებს ხელფასის დაკლებას არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება უნდა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი;

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებებია:

დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით;

დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე;

მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობა;

დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები;

სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი;

დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა;

დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასება, თავიდან აცილებისა ან შექმნილობის დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი;

სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე.

სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის განზრახ ჩადენის შემთხვევაში.

დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

საჯარო მოხელის ან ყოფილი მოხელის განცხადება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე, იმ შემთხვევაში თუ განცხადების მიზანია მოხელის ან ყოფილი მოხელის შესახებ გარეგნული პატივისცემა და ღირსების შემლახველი ცნობების გაბათილება;

სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობა;

საჯარო დაწესებულებაში განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუდიტის, ინსპექტირების ან/და მონიტორინგის შედეგები;

ზეპირი მოსმენა - დისციპლინური წარმოების განმასხორციელებელი ერთეული ვალდებულია ჩამოაყალიბოს ზეპირი მოსმენა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მონაწილეობით, თუ დისციპლინური წარმოების მოსალოდნელი შედეგია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენება.

დისციპლინური წარმოების პროცესში, საჯარო მოხელის უფლება აქვს:

ინარგულს ადვოკატის დახმარებით; მითხოვოს დისციპლინური წარმოების საქმის მასალების გაცნობა;

წარადგინოს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტება;

წარადგინოს მტკიცებულება;

წარადგინოს წერილობითი მოსაზრება დისციპლინური წარმოების განმასხორციელებელი ერთეულის დასკვნასთან დაკავშირებით;

გაასაჩივროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით (ზემდგომი ორგანო, სასამართლო).

გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ორ ეტაპად:

დისციპლინური წარმოების განმასხორციელებელი ერთეულის დასკვნა - დისციპლინური გადაცდომის სახე და შესაძლო ზემოქმედების ღონისძიება;

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;

დასკვნით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება;

მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში - დისციპლინური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება;

დასკვნის დასაბუთებული შენიშვნებით დაბრუნება;

დისციპლინური წარმოების ვადა - არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. საჯარო დაწესებულებას შეუძლია წარმოების ვადა გაახანგრძლივოს 2 თვით, თუ არსებითი

მნიშვნელობის გარემოებების დადგენისთვის საჭიროა დამატებითი ვადა.

2. სამსახურიდან გათავისუფლება

საჯარო მოხელე სამსახურიდან თავისუფლება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შესაძლებელია გამოიცეს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საგადადებულო და დისკრეციულ საფუძველებს.

საჯარო მოხელის სამსახურიდან საგადადებულო გათავისუფლება უკავშირდება შემდეგი გარემოებების გამოვლენას:

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება; სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგვად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიღებად ცნობა;

საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

მძიმე დისციპლინური გადაცდომის განზრახ ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება განისაზღვრა;

არადაამაკმაყოფილებელი შეფასების ზედოვანი ორჯერ მიღება;

გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არადაამაკმაყოფილებელი შეფასების ორჯერ მიღება;

სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისათვის თავის არიდება;

გარდაცვალება.

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

პირადი განცხადება;

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირება;

ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუნარობის გამო;

მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის დროს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა;

პირადი განცხადება, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი;

გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა პირადი განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ; აღნიშნულ პერიოდში მოხელეს უფლება აქვს მითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება;

საჯარო მოხელეს შეუძლია მითხოვოს პირადი განცხადების საფუძველზე დაუყოვნებლივ გათავისუფლება, თუ მისი გათავისუფლება საფრთხეს არ შეუქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;

საჯარო მოხელეს უფლება არ აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდეს საჯარო სამსახურიდან, როდესაც:

გაიარა პროფესიული განვითარების პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 3 თვეს აღემატება;

პროგრამა დაფინანსებულია საჯარო დაწესებულების მიერ და პროგრამის დასრულებიდან არ არის გასული 1 წელი.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე საჯარო დაწესებულებას აუნაზღაურებს პროფესიული განვითარებისათვის გაწეულ ხარჯებს.

შტატების შემცირება, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი:

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა;

მოხილობის განხორციელების შეუძლე-

ბლობა;

საჯარო მოხელის სტატუსი ნარჩუნდება მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადის გასვლაამდე; (2 წელი)

მოხელის გაფრთხილება - საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო მოხელეს 1 თვით წერილობით აცნობოს:

შტატების შემცირების

ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუნარობის საფუძველით გათავისუფლების შემთხვევაში;

კომპენსაცია - საჯარო მოხელე უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

შტატების შემცირებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუნარობის საფუძველით გათავისუფლების შემთხვევაში;

სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვა - მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შემდეგ შემთხვევებში:

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებაში სხვა შტატის გამო;

შეფასების შედეგების გამო.

3. უფლების დაცვის მიქმედება

კანონი განსაზღვრავს უფლების დაცვის სამ შესაძლებლობას:

კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლებების დაცვა;

საჯარო მოხელის უფლებების დაცვა; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლებების დაცვა;

კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლებების დაცვა შესაძლებელია ამოქმედდეს ორ შემთხვევაში:

კანდიდატი ვერ გადალახავს განცხადებების გადარჩევის ეტაპს;

საკონკურსო კომისია უარს იტყვის კანდიდატის წარდგენაზე.

პირველ შემთხვევაში, კანდიდატს უფლება აქვს შეტყობინების მიღებიდან 2 დღის ვადაში მიმართოს საჯარო სამსახურის ბიუროს და მითხოვოს განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადაამოწმება; ბიურო გადაწყვეტილებას იღებს 2 დღეში და აცნობებს საკონკურსო კომისიას.

მეორე შემთხვევაში, კანდიდატს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული წესით; თუმცა, გასაჩივრება არ იწვევს საკონკურსო კომისიის აქტის მოქმედების შეჩერებას.

საჯარო მოხელის უფლებების დაცვა დაავაზირებულია:

საჯარო მოხელის მიერ მის მიმართ სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის მიღებასთან;

საჯარო მოხელის მიერ მის მიმართ სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობასთან;

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში უფლების დაცვის მიქმედება:

საჯარო მოხელეს უფლება აქვს გაასაჩივროს გათავისუფლების შესახებ ბრძანება, თუმცა გასაჩივრება არ იწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებას;

თუ შემდგომი ორგანო ან სასამართლო გააუქმებს საჯარო მოხელის გათავისუფლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას;

საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში;

საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიებით თხოვნით; თუმცა, საჯარო მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით;

თუ საჯარო მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, იგი ირიცხება რეზერვში ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო, ასევე კომპენსაცია 6 თვის განმავლობაში ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.

პოპ ღიღი ფეხბურთისაკენ ჯერ კახეთის ნაკრები...

მწვრთნელი დათო მისურაძე გარეჯელი ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის კარგად ცნობილი სახეა. ფეხბურთის იგი პირველად თელავში ეზიარა, შემდეგ კი საგარეჯოში გადმოინაცვლა – თამაშობდა მეორე ლიგის გათამაშებაში, მაგრამ ფიზიკურმა მონაცემებმა ხელი შეუშალა გამხდარიყო ცნობილი მეკარე. მიუხედავად ამისა, ფეხბურთისათვის თავი არ დაუნებებია, ფეხბურთელის ნაცვლად მწვრთნელის მისური „მორგო“ და აგრე უკვე 12 წელია გარეჯელ პატარებს დიდი ფეხბურთისაკენ უკვლავს გზას. ამ რამდენიმე ხნის წინ დათომ უფასო B ლიგის მისურაძის მოსაპოვებელი გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა და ამით კიდევ უფრო აიმაღლა თავისი სამწვრთნელო გამოცდილება. შედეგი? წელს სექტემბერში უკვე 6 წელი გახდება რაც იგი U-15-ის 13-14 წლიანთა „გარეჯს“ ავარჯიშებს და ყოველწლიურად მონაწილეობენ ქვეყნის ასაკობრივ ჩემპიონატებში. წელს კი მისი აღსაზრდელები ორი წლით უფროს ასაკში იღებენ მონაწილეობას, რამაც, როგორც მან აღნიშნა, სიმწველესთან ერთად სასარგებლო შედეგებიც გამოიღო. წელს „ფიფას“ დაფინანსებით საქართველოს 13 რეგიონში შეიქმნა 13 ასაკობრივი რეგიონული ნაკრები და ჩატარდება „რეგიონთა თასის“ გათამაშება, სადაც პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები გაემგზავრებიან ბერლინის ჰერტას ფეხბურთის აკადემიაში შეკრების გასაგებლად, ხოლო ამ გათამაშებაში გამორჩეული ფეხბურთელებისგან გაკეთდება საქართველოს ნაკრები.

ალბათ მკითხველი იკითხავს – რა კავშირი აქვს ყველაფერ ამასთან დათო მისურაძეს და მის აღსაზრდელებს? საქმე იმაშია, რომ როცა დადგა კახეთის ნაკრების შექმნის საკითხი და რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან მოითხოვეს კანდიდატურების გასინჯვაზე წაყვანა, დათოს გუნდიდან წაყვანილი 5 ფეხბურთელიდან ხუთივე აიყვანეს რეგიონულ ნაკრებში. კერძოდ, 2003 წელს დაბადებულთა ნაკრების წევრები გახდნენ ნიკა მისურაძე და ლაშა კერატიშვილი. 2004 წელს დაბადებულთა ნაკრებში აიყვანეს საბა ბაქარაშვილი, ნიკა მეკოშვილი და გიორგი ბელიაშვილი. როგორც იტყვიან, წარმატებაც ამას ჰქვია და მწვრთნელისათვის ამაზე მეტი სასიხარულო რა უნდა იყოს, როცა შენი ხუთი გაზრდილი მოსწავლიდან ხუთივეს იყვანენ ნაკრებში, მაშინ, როცა კახეთის ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან საერთოდ არ აუყვანიან ფეხბურთელი.

– საქართველოში ჩამოყალიბებული 13 რეგიონული ნაკრები გაიყო სამ ჯგუფად, – **გვეუბნება დათო**, – თითო ჯგუფში 4-5 გუნდი იღებს მონაწილეობას, სადაც გამარჯვებულნი გუნდები ითამაშებენ ფინალურ თამაშებს, მათ შორის დასავლეთის ჯგუფიდან ორი გუნდი. კახეთის რეგიონულ ნაკრებს თამაში მოუწევს იმ ჯგუფში, რომელშიც მოხვდნენ ქვემო ქართლის, ოსეთის, და აფხაზეთის რეგიონული ნაკრებები და უნდა შეეცადოს, რომ გავიდეს ნახევარფინალში, მერე კი გზა ბერლინის ჰერტას აკადემიისკენაც იხსნება.

– **დათო, მოდი შენი აღსაზრდელების შესახებაც გვიამბე ცოტა რამ, ჩვენც და მკითხველსაც გაგვაცანი ისინი, რით არიან გამორჩეულნი, რამაც მათი კახეთის ნაკრების წევრობა განაპირობა?**

– როგორც უკვე გაგვაცანით, კახეთის 2003 წელს დაბადებულთა ნაკრებში ორი მოთამაშე ლაშა კერატიშვილი და ნიკა მისურაძე აიყვანეს. ლაშა ცოტა სუსტი, მაგრამ ძალზე ტექნიკური მოთამაშეა, რის ხარჯზეც ადვილად ფარავს სხვა ნაკლოვანებებს. იგი მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. რაც შეეხება ნიკა მისურაძეს, იგი ძალზე ტექნიკური მოთამაშეა, გამოირჩევა შემტევი სტილითა და და გამჭოლი გადაცემებით.

2004 წელს დაბადებულთა ნაკრებში ჩარიცხული ნიკა მეკოშვილი შარშანვე მოხვდა ნაკრებში თავისზე 1 წლით უფროს მოთამაშეებში. ფიზიკურად ძლიერი ბავშვია და შერწყმაზე თითქმის არც ჰყოლია სერიოზული კონკურენტი.

კახეთის რეგიონული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, A ლიგის მფლობელი გიორგი ნუსხელიაძე „გადარეულია“ საბა ბაქარაშვილით. როგორც იგი აცხადებს, ასეთი ბავშვი ბარე ორიც არ იქნება საქართველოს არც ერთ ასაკობრივ ჯგუფში და მას ყველა მონაცემები აქვს დიდი ფეხბურთის სათამაშოდ.

გიორგი ბელიაშვილი – უნიკალური ბავშვი და მეკარეა. თავის ასაკთან შედარებით სამი წლით უფროს ასაკში თამაშობს და ყველას ყურადღებას იქცევს თავისი სიმაღლით, სწორი თამაშით. იგი აქედანვე იძლევა იმედს, რომ მისი სახით საქართველოს ნაკრებს ღირსეული მეკარე ეპირდება. თუმცა, ამის შანსი მას შარშანაც ჰქონდა, მაგრამ რადგან

2 წლით უმცროსი იყო (2005 წელსაა დაბადებული), ნაკრებში არ აუყვანიან. ალბათ მისი ეს თვისებებიც იყო იმის მიზეზი, რომ შერჩევაზე წარმოდგენილი 5 სხვა მეკარიდან პირველ ადგილზე გიორგი დააყენეს.

– **როგორ მიმდინარეობს კახეთის ნაკრებში საგარეჯოდან აყვანილი ფეხბურთელების წვრთნები, რა შეხვედრები ელით მათ წინ?**

– კახეთის რეგიონული ნაკრები ფეხბურთში წვრთნებს და ვარჯიშებს ყვარლის სტადიონზე გადის ყოველი კვირის პარასკევს. დანარჩენ დროს ჩვენი ფეხბურთელები ისევ ჩვენთან, საგარეჯოში ვარჯიშობენ. ყვარელში საგარეჯოდ იხინი მე ჩამყავს ხოლმე. ვითვლება ნაკრების მთავარი მწვრთნელის არაოფიციალურ თანამშემწედ. 5 ივლისს კახეთის ნაკრებს შეხვედრა ჰქონდა ქვემო ქართლის ნაკრებთან და იქ გამორჩეულნი, თუ რა შედეგები გამოიღო ყვარლის სტადიონზე ჩვენს მიერ ჩატარებულმა თერთმეტმა ვარჯიშმა.

– **დათო, შენი საუბრიდან და კახეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეხვედრებებიდან თამაშად შეიძლება იმ აზრის გამოტანა, რომ კახეთის ნაკრებში მოხვედრილი შენი ხუთი აღსაზრდელიდან, ხუთივეს თუ არა, ორს – საბა ბაქარაშვილსა და გიორგი ბელიაშვილს საქართველოს ნაკრებში მოხვედრის რეალური შანსი გააჩნიათ. ახლა კი მოდი შენსკენაც გადმოვიხედოთ, რას გეგმავე, რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?**

– ჩემი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ამ დროისათვის არის ის, რომ ამ ზაფხულს მინდა კიდევ სამი ბავშვი – შალვა ღრუბელაშვილი, დანი მათიაშვილი და გიორგი ჯანბეგაშვილი მოვამზადო და ჩაიყვანო კახეთში გასინჯვაზე. U-15 „გარეჯის“ მწვრთნელობასთან ერთად ვმუშაობ დიდების „გარეჯის“ გუნდში, მწვრთნელ ჯემალ მახარაშვილის ასისტენტად. ამ კაცთან მუშაობა დიდი სკოლაა ჩემთვის, რასაც ყოველთვის ვიყენებ „პატარა გარეჯელებთან“ მუშაობაში. ასევე, ყველაზეაირად ვცდილობ, ავიმადლო ჩემი პროფესიული მომზადების დონეც. თუმცა არ მაქვს ფინანსური შესაძლებლობა მწვრთნელის A კატეგორიის ლიცენზიის მოსაპოვებლად (საჭიროა 3000 ლარი).

– **გარეჯელი ფეხბურთის ამბებში ჩახვედრილი ადამიანები ამბობენ, რომ ფეხბურთელთა კარგი კადრების მომზადების საქმეზე გარკვეულ ზარფოფით გაველენს ახდენს საგარეჯოს სტადიონის ამორტიზებული საფარი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებში დასაწყისში დაიფარა და მას შემდეგ აღარ შეცვლილა. შენ რა აზრის ხარ ამის შესახებ?**

– ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ როგორც მე ვიცი, ამასაც მალე მოეცება ბოლო. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით უახლოეს ხანებში ეს საფარი გამოიცვლება ხელოვნური ხალიჩით, რისი სამუშაოების მოცულობა 635 ათასი ლარია და ველოდებით ტენდერის გამოცხადებას. მართალია, ხელოვნური ხალიჩის დაგებას ჰყავს გარკვეული მოწინააღმდეგეები, მაგრამ ბუნებრივი საფარის მოვლა და შენახვა ძალზე დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ხელოვნური ხალიჩაც არაა დასაწევი კარგი ფეხბურთელების აღსაზრდელად.

– **რა თქმა უნდა. ამ ამორტიზებულ სტადიონზე, ამ 9-10 წლის წინ გოგა მისურაძემ საქართველოს ნაკრებს ხომ აღუზარდა სამი მოთამაშე – თემურ ბარიხაშვილი, გუგა დიდმელაშვილი, რამაზ დარბაისელი. ახლა შენ კახეთის ნაკრებს ხუთი ფეხბურთელი შესძინე და უკეთეს სტადიონზე უკეთესი კადრები რომ აღიზრდებიან, ამაზე მგონი ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. ვნახოთ, რას მიაღწევენ დიდ სარბიელზე საგარეჯოში დაფრთხილებული შენი აღსაზრდელები. ფეხბურთისათვის დიდი ფეხბურთისაკენ მიზნავალი მათი პირველი ნაბიჯები.**

გიორგი მისურაძე

ჩვენებური

მოავლის ფეხბურთელი

მიხანი, რომელიც ასრულებს...



მისამი ათასწლეულის დასაწყისის მეორე ათეული წელი, გარეჯული სპორტის ისტორიაში მსოფლიოს, ევროპისა და საერთაშორისო დონის ახალი სახეების გამოჩენით აღინიშნება, მათ შორის, მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ჭიდაობის გარდა, სხვა „არატრადიციული“ სპორტულ სახეობებშიც. ასპარეზზე გამოჩნდნენ მოჭიდავე და ფეხბურთელი გარეჯელი გოგონებიც... იცვლება გარეჯული ფეხბურთის მიმართ მიდგომა-დამოკიდებულება და შესაბამისად, შედეგებიც. ამ დღეებში კი, გელა ხებრელაშვილმა – „ფეოლაძე“, ერთი ისეთი ჩვენებური პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი გაგვაცნო, რომლის მაგალითიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ საგარეჯოს გამოჩენილ მო-

ჭიდავეებსა და მკლავჭიდებლებთან ერთად, მაღალი დონის ფეხბურთელების აღზრდაც შეუძლია. ეს ახალგაზრდა გახლავთ წარმოშობით გიორგიშინდელი 17 წლის თამაზ (თაზო) ბაბუნაძე, თბილისის „დინამოს“ 19 წლამდელთა გუნდისა და U 19 საქართველოს ნაკრების ბომბარდირი, ვისი გვარიც არაერთხელ გაჟღერებულა გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე.

აქედან გამომდინარე, გვინდა გადავწყვიტოთ უფრო ახლოს გაგვცნობოდათ და ფეხბურთის გარეჯელი გულშემატკივრებისათვის გაგვეცნო ჩვენი უთუოდ ნიჭიერი და პერსპექტიული თანამემამულე.

– **დავებდეთ 2000 წლის 4 იანვარს, ვარ საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიშინდის მეკიდრი. 4 წლამდე ვიზრდებოდა გიორგიშინდაში ჩემს მშობლებთან. შემდეგ ოჯახური მიგრაციის გამო საცხოვრებლად გადავედი რუსთავეში. ექვსი წლის არ ვიქნებოდი, როცა დეიამ და ახლობლებმა შენიშნეს ფეხბურთის მიმართ ჩემი დამოკიდებულება და მონაცემები და რუსთავის ფეხბურთის გუნდ „მეტალურგში“ საგარეჯოდ მიმიყვანეს, რომელსაც ნოდარ მეტრეველი წვრთნიდა. ზაფხულობით კი ჩამოვიდი გიორგიშინდაში და სათამაშოდ საგარეჯოს სტადიონზე დავდიოდი ხოლმე გოგა მისურაძის ფეხბურთელებთან ერთად. ასევე დავდიოდი ჭადრაკის წრეზე, ცეკვაზე, სადაც კარგი შედეგები მქონდა, სკოლაშიც**

კარგად ვსწავლობდი, მაგრამ, საბოლოოდ არჩევანი მაინც ფეხბურთზე შევაჩერე, რადგან ფეხბურთი ჩემში ცხოვრობდა, ვიძინებდი და ვიღვიძებდი ფეხბურთთან ერთად და ალბათ ამიტომაც იყო, რომ დიდ მოწონებას ვიმსახურებოდა, როგორც გუნდში, ისე სხვა, უცხო ადამიანებისაგან. და ეს ყველაფერი მე დიდ სიხარულს და შეებას მანიჭებდა. 4 წელი დავეყავი და ვიყავი „მეტალურგის“ წარჩინებული მოზარდი – ასე გაიხსენა ფეხბურთში თავისი პირველი ნაბიჯები თამაზ ბაბუნაძემ.

საფეხბურთო ცხოვრებაში მისთვის II ეტაპი 10 წლიდან იწყება, როცა იგი თურქეთში გადადის დროებით საცხოვრებლად.

– **10 წლის არ ვიქნებოდი, როცა სკოლის არდადეგებზე მოვიხიხა თურქეთში წასვლა. ჩემს ბებზე სახლის უკან, რომელშიც ჩვენ ცხოვრობდით, იყო ფეხბურთის მოედანი. ჩასვლის მეორე დღეს, მოედნის მუატრონეებს ვთხოვეთ ხანდახან შევეში სათამაშოდ, როცა რომელიმე მოთამაშე დააკლდებოდა გუნდში. მოხდა ის, რასაც ნამდვილად არ ველოდი – ერთი თამაშის შემდეგ შეთავაზება მივიღე, რომ იმ სეზონზე მათ გუნდში მეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მოქალაქე არ ვიყავი, გამიკეთეს საბუთები, ჩამაცვეს „ფერენბახის“ ფორმა და 9 ნომრით თავდასხმის პოზიციაზე გამამწესეს. ასე განმეორდა მეორე წელსაც, მაგრამ უფრო მაგარი რამ**



მოხდა მომდევნო წელს. თურმე სტამბულიდან „ფერენბახის“ აკადემიიდან ჩამოსული ყოფილან 4 ასაკობრივი ჯგუფიდან თითო ბავშვის შესარჩევად აკადემიისათვის. ამ ოთხეულში მოხვდით სულ 4 ბავშვი. აჭრელდა იქაური პრესა ჩემი ფოტოებით, სახელითა და გვარით, რაც წამთვის დაუჯერებელი იყო. ამას მოჰყვა წარმომადგენელიც, მაგრამ... ვინაიდან პატარა ვიყავი და ენის ბარიერიც ხელს შემიშლიდა სწავლაში, დედამ ვერ გარისკა ასე შორს ჩემი გაშვება.

ახლა, როცა დაფიქრდები, ეს იყო ერთადერთი დიდი შეცდომა... უკან დაბრუნებული 11 წლის ასაკში კარგ ფორმაში ვიყავი. ყველა მამჩნევდა, რომ ჩემი წლოვანების ბავშვებთან თამაში უკვე მიჭირდა და არ მაკმაყოფილებდა. სადაც ვავდიოდი სათამაშოდ, შინ თუ გარეთ, მწვრთნელიც და გუნდიც დიდი იმედით მიყურებდნენ. ერთ-ერთ გასულთა თამაშზე აზერბაიჯანში გავხდი ბომბარდირი და ერთი ღამეში მაკრატელაც გავიტანე. აზერბაიჯანიდან არა მარტო გამარჯვებული, არამედ ბომბარდირის თასითა და ყველაზე ტექნიკური მოთამაშის ტიტულით დამშვენებული დაებრუნდი. ეს შემწინეველი არ დარჩენიათ „დინამოს“ წარმომადგენლებს და რამდენიმე დღეში ოჯახში გვესტუმრნენ მოსალაპარაკებლად. იმ დღეს გადაწყდა ჩემი ბედი... ერთ კვირაში უკვე ვიტალი დარბაისელის სახელობის ფეხბურთის აკადემიის მოედანზე ვიდექი საგარეჯოში. 11 წლიდან მოყოლებული, უკვე 6 წელია, რაც აქ ვარ და ვამაყოფ, რომ ვეკუთვნი თბილისის „დინამოს“.

– თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით, „დინამოს“ რომელ გუნდში გიყვით ახლა თამაში დასასრული მმ-9 გმპრლზმ

ჩვენებური

მოავლის ფსხურთელი მიზანი, რომელიც ასრულებადია...

დასასრული

და რა პოზიციაზე?

- ახლა ვარ 17 წლის და ძირითადად ვთამაშობ 19 წლამდე ასაკის გუნდში, ასევე U-19 საქართველოს ნაკრებშიც. როგორც „დინამოს“, ასევე ნაკრების გასულით თამაშებზე ვიკავებ თავდამსხმელის პოზიციას. აქედან გამომდინარე, დიდი პასუხისმგებლობა მაქვს როგორც პირადად, ისე მთლიანად გუნდისა და მწვრთნელის წინაშე, რის გამართლებასაც ძალიან დიდი შრომა სჭირდება. თავს არ ვზოგავ ამისათვის და ყველა გამართულ მატჩში - უკრაინაში, ბულგარეთში, აზერბაიჯანში, პოლონეთსა თუ სხვა ქვეყნებში თამაშისას ყველანაირად ვიხარჯები, რომ ჩემი სათანადო წვლილიც შევიტანო გუნდის გამარჯვებაში. ეს რომ ასეა, ამის დამადასტურებელია სიგელების, მედლების, სხვა ჯილდოების კოლექცია, რომელიც ჩემი ოთახის ერთ-ერთ კუთხეს აღამაზებს...

- გასულ წელს „შერიფის თასის“ გათამაშებაზე ბომბარდირის ბუცი დაგიმსახურებია...

- ამ გათამაშებაზე ჩამოსული იყვნენ საკმაოდ კარგი გუნდები, როგორებიცაა „ალკამარი“, „ტრამპონსპორტი“, „ბეშიქტაში“, უკრაინის, რუმინეთის, პოლონეთის გუნდები. ფინალში მართალია „ალკამართან“ წაგაგეთ, მაგრამ მე ბომბარდირის ბუცი დაგიმსახურე, რომელიც თამაშების დასრულებისას საზეიმო ვითარებაში გადმოგიცა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა და მისურვა შემდგომი წარმატებები. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში სიხარულთან ერთად იყო სიმწრის დღეც, რადგან სულ ცოტა დაგვაკლდა გამარჯვებამდე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თამაშებით კარგი გამოცდილება მივიღეთ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით რომან ფიფიას.

- ასეთი წარმატებების მქონე ალბათ დაინტერესებდით სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს, თუნდაც იგივე თურქეთის. რაიმე საქმიანი შემთავება არ გქონია?

- კი, არის ასეთი დაინტერესება, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემთვის 18 წლის შესრულებამდე გასაგები მიზეზებით, ყველა თავს იკავებს რაიმე პრაქტიკული წინადადებისაგან.

- ვინ არის ფეხბურთში თაზო ბაბუნაძის „კუმირი“ და რას გეგმავეს იგი სამომავლოდ?

- ჩემთვის ყველაზე საყვარელი და მისაბაძი ფეხბურთელი ურუგვაელი თავდამსხმელი კავანია. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, უკვე შევუდექი „დინამოს“ პირველ გუნდში ვარჯიშს და მაქვს იქ გადასვლის პერსპექტივა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოინდინე სკაუტებიც, მაგრამ ველოდებით 18 წლის შესრულებას. ენახოთ, რა იქნება იმის შემდეგ. ისე, პირველ ეტაპზე, კარგი იქნება რომელიმე პოლანდიურ გუნდში მოხედრა, რადგან იქ ჩვენთან შედარებით ყველანაირად უკეთესი პირობებია კარგი ფეხბურთელის ჩამოსაყალიბებლად. ვფიქრობ, რომ მე ფეხბურთელად ვარ დაბადებული და ეს დიდ სტიმულს მაძლევს იმ ოცნების შესრულებაში, რომელიც ჩემს გონებაში მიზანდ მაქვს დასახული. ამ ქვეყნად შეუძლებელი არაფერია, „ბურთი ხომ მრგვალია“, ველოდები უკეთესს.

ჩვენც საუკეთესო სურვილებით დავემშვიდობოთ ჩვენს გიორგიწმინდელ თანამემამულეს. ენახოთ, იქნებ დიდი არსენ მუკოციშვილის თანასოფელმა არსენასავით გაუთქვას სახელი მშობლიურ კუთხესა და სოფელს მომავალში.

ბიზი ლაპახიშვილი
P.S. შემოდგომიდან საქართველოს 12 წლამდელოთა ნაკრები ევროპის მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმება და ამ მატჩებს (8-14 ნოემბერი) ბონნა უმასინდლებს.

კულტურა

საქართველო და საგარეო ასსელებს

საბარჯლოს ხელოვნების სტუდია „მი-რე-ლა“ (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი) იენისში ბულგარეთის ქალაქ ნესებრში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „მზე, ბედნიერება და სილამაზე“ იღებდა მონაწილეობას. ფესტივალში მსოფლიოს 10 ქვეყნის: ბულგარეთის, ბელარუსის, გერმანიის, საქართველოს, ყაზახეთის, მოლდოვის, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთის 2000 მონაწილე ერთმანეთს საკმაოდ ძლიერ კონკურენტებს წარმოადგენდნენ. მაგრამ... საგარეჯოელმა „მი-რე-ლა“-მ ფესტივალზე I ადგილი დაიკავა და პირველი ხარისხის დიპლომიც გადაეცა.



საგანმანათლებლო გაიზარდა ნიგნადი ფონდი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ - სკოლისა და ბიბლიოთეკების განვითარებისათვის საგანმანათლებლო პროექტია, რომლის იდეის ავტორი და ინიციატორი, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძეა, პროექტმა თავისი არსით მოქალაქეთა მოხალისეობრივი საქმიანობის კარგი მაგალითი მისცა მოზარდ თაობას, პროექტი საჭირო საგანმანათლებლო რესურსის გადარჩენის წინაპირობად იქცა.

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ მთელ საქართველოს მოიცავს, პროექტი ხორციელდება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად.

პროექტის ფარგლებში ამ დღეებში, „ეკვილიბრიუმი“ -ს გუნდის წევრები გიორგი კეკელიძესთან ერთად საგარეჯოში ჩამოვიდნენ, რომლებმაც საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით მოამარაგეს.



